არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოსწმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№40/02 2021 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წარდგინება.

რექტორი, პროფესორი,
არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)

დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორის მიერ
2021 წლის 12 ნოემბრის №[illegible] ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

თ ბ ი ლ ი ს ი

2021

თ ბ ი ლ ი ს ი

2021

1.ზოგადი დებულებები

1.1 ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) სტუდენტური თვითმმართველობა არის სტუდენტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება ერთის მხრივ, სტუდენტებისა, ხოლო მეორეს მხრივ, უნივერსიტეტის პერსონალის ინტერესების ჰარმონიზაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად;

1.2 სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;

1.3 სტუდენტური თვითმმართველობა თავის ფუნქციებს ანხორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტების საფუძველზე;

1.4 სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი;

1.5 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

1.6 სტუდენტურ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი;

2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და ამოცანები

2.1 სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის მიზნებია:

- სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;
- სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება;
- უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში სტუდენტთა მონაწილეობა;
- სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვა;
- სტუდენტების თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის მმართველობის ორგანოებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და ხარისხის სრულყოფის მიმართულებით;

2.2. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

- მოაწყოს შეხვედრები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო ღონისძიებები;

- სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აგრეთვე გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სტუდენტთა თვითმმართველობას შეუძლია დაამყაროს კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან.

2.3 სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- საერთო კრება;
- დეპარტამენტები;

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

3.1. სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომლის შემადგენლობაშიც შედის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრი;

3.2. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც. საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პრეზიდენტის ან თვითმმართველობის წევრთა 2/3 ინიციატივით. კრება გადაწყვეტისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 50%+1.

3.3. საერთო კრების სხდომის მოწვევის შესახებ თვითმმართველობის წევრს ეცნობება 3 დღით ადრე ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის მითითებით;

3.4. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თვითმმართველობის პრეზიდენტს;
- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს ერთ წევრს, რომელიც იღებას მონაწილეობას ყველა საკითხის განხილვაში გარდა სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებისა.
- შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
- შეაქვს დებულებაში ცვლილებები და დამატებები, რის შესახებაც აცნობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
- იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველობის წევრის სტატუსის შეწყვეტის ან ახალი წევრის მიღების შესახებ.

4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

4.1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე;

4.2. **სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:**

- იწვევს და თავმჯდომარეობს საერთო კრებას;
- უწევს კოორდინაციას თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- ნიშნავს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს;
- სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ათავისუფლებს დეპარტამენტების ხელმძღვანელებს;
- სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ურთიერთობს უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებთან;
- იღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის სადისციპლინო კომისიის მუშაობაში;
- არის უნივერსიტეტის სენატის წერი;
- წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან ურთიერთობაში;
- ნიშნავს შემდეგი არჩევნების თარიღს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- ამტკიცებს საერთო კრების მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტულ პროგრამებსა და პროექტებს;

4.3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

4.4. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტურ თვითმმართველობას ვადამდელ არჩევნებამდე ხელმძღვანელობს ერთერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი საერთო კრების გადაწყვეტილებით.

5. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები

5.1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები იქმნება სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

5.2. თითოეულ დეპარტამენტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ერთი წლის ვადით ინიშნება პრეზიდენტის მიერ;

5.3. დეპარტამენტის წევრთა სხდომა მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

5.4. დეპარტამენტის ხელმძვანელმა პრეზიდენტს უნდა შეუთანხმოს ყოველი თვის სამუშაო გეგმა;

5.5. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებია:

- კულტურის დეპარტამენტი;
- სპორტის დეპარტემენტი;
- საორგანიზაციო დეპარტამენტი;

- განათლების დეპარტამენტი;

6. სტუდენტური თვითმართველობის წევრი და მისი არჩევის წესი

6.1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი:

- სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები;
- სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება 2 წლის ვადით;

6.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;
- პრეზიდენტის გადაწყვეტილება, თუ იგი არღვევს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს ან წინამდებარე დებულებას;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

6.3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

- წამოაყენოს წინადადებები საერთო კრებაზე და მოითხოვოს მათზე რეაგირება;
- მიიღოს ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
- მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
- მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
- არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

6.4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ამ დებულების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნები;
- შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებები;
- დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, პრესტიჟი და ქონება;
- თავისი საქმიანობით არ დაუშვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის დისკრედიტაცია;
- ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

6.5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის არჩევა:

- სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით;
- თვითმმართველობის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა 2/3;
- თითოეული ფაკულტეტი ირჩევს სტუდენტურ თვითმმართველობაში 6 წევრს;
- კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს სტუდენტთა 5 კაციან საინიციატივო ჯგუფს;
- სტუდენტური თვითმმართველობის წევრის არჩევის მიზნით სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ იქმნება საარჩევნო კომისია, რომელსაც ყავს თავმჯდომარე და მდივანი;
- სტუდენტთა 5 კაციანი საინიციატივო ჯგუფი კანდიდატს არეგისტრირებს საარჩევნო კომისიაში;
- საარჩევნო კომისია ამტკიცებს საარჩევნო დებულებას, რომლის მიხედვითაც ხდება არჩევნების ჩატარება;

7. სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსები

7.1. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

- უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსები;
- საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტები;
- ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

8. დასკვნითი დებულებები

8.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საერთო კრებაზე შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის მიხედვით.